

ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტი



ბიზნესის ადმინისტრირება

სადოქტორო პროგრამა

კურიკულუმი

თბილისი
2016

პროგრამის დასახელება - ბიზნესის ადმინისტრირება

პროგრამის შემუშავების თარიღი 23.08.16

პროგრამის განახლების თარიღი 06/12/2016

მისანიჭებელი აკადემიური ხარისხი და კვალიფიკაცია

ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორი

მისანიჭებელი აკადემიური ხარისხი და კვალიფიკაცია (ინგლისურად)

PhD in Business Administration

პროგრამის ხანგრძლივობა 6 -10 სემესტრი

მისანიჭებელი კრედიტების რაოდენობა - 180 ECTS

სწავლების ენა - ქართული

პროგრამაზე დაშვების წინაპირობა

ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტის ბიზნესის ადმინისტრირების სადოქტორო პროგრამაზე დასაშვებად კანდიდატს უნდა ქონდეს:

- ✓ მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი და მინიმუმ 6 წლიანი გამოცდილება ბიზნესის სფეროში (საქართველოს ფარგლებს გარეთ მიღებული განათლების შემთხვევაში „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 50-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად აღიარებული დიპლომი);
- ✓ ინგლისური ენის ცოდნის (B2 დონე) დამადასტურებელი ვალიდური სერტიფიკატი ან ინგლისურენოვანი საბაკალავრო ან/და სამაგისტრო პროგრამის დასრულების დამადასტურებელი დიპლომი.

პროგრამის მიზანი

სადოქტორო პროგრამის მიზანია მოამზადოს მაღალი კვალიფიკაციის მქონე დოქტორი, რომელიც თავის წვლილს შეიტანს საქართველოს ეკონომიკის განვითარებაში. უნივერსიტეტი ხელს შეუწყობს კვლევის შემდგომ განვითარებას და ამ გზით ის მონაწილეობას მიიღებს ქვეყნის მასშტაბით ინტელექტუალური მიგრაციის შემცირებაში.

- ✓ მოამზადოს პროფესიონალები, რომლებსაც შეუძლიათ განახორციელონ უახლეს მეთოდოლოგიებზე დამყარებული ინოვაციური კვლევები ბიზნესის მიმართულებით;
- ✓ მისცეს შესაძლებლობა დოქტორანტებს, გააღრმავონ ან შექმნან ახალი ცოდნა ციფრული მეწარმეობის, ციფრული ეკონომიკისა და ბიზნესის სფეროში მიმდინარე აქტუალური პროცესების გარშემო;
- ✓ შეასწავლოს დოქტორანტს ემპირიული მეთოდები და მისცეს უნიკალური შანსი დამოუკიდებლად ააგოს თავისი კვლევის სტატისტიკური მოდელი, რაც მას დაეხმარება დაადგინოს ცვლადებს შორის მიზეზშედეგობრივი კავშირი;
- ✓ ხელი შეუწყოს ბიზნესისა და თანამედროვე ტექნოლოგიების ინტერდისციპლინარულ კვლევებს, ინოვაციური და შემოქმედებითი იდეების გენერირებას, ჰიპოთეზების შექმნას და ამ იდეების შეფასებისა და განხორციელებისათვის საჭირო ანალიტიკური უნარის გამომუშავებას;
- ✓ შესაძლებლობა მისცეს დოქტორანტს გაუზიაროს სამეცნიერო კვლევის შედეგები და მიგნებები აკადემიური და პროფესიულ საზოგადოებას;
- ✓ მისცეს ცოდნა კურსდამთავრებულს სწავლების თანამედროვე მეთოდებში, რათა ჩაერთოს სწავლა-სწავლების პროცესში კვლევის და სწავლების ეფექტური ინტეგრაციისთვის.

დასაქმების სფეროები

ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტის ბიზნესის ადმინისტრირების სადოქტორო პროგრამის კურსდამთავრებული შეიძლება დასაქმდეს:

- ✓ დარგის შესაბამის აკადემიურ (სასწავლო/კვლევით) დაწესებულებებში;
- ✓ ბიზნეს-სექტორში მაღალი რგოლის თანამდებობაზე;
- ✓ შესაბამისი პროფილის სახელმწიფო სექტორის დაწესებულებებში მაღალი დონის თანამდებობაზე;
- ✓ ეკონომიკის სხვადასხვა დარგის ნებისმიერი სახის ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის კომერციული ორგანიზაციებში;
- ✓ საერთაშორისო ორგანიზაციებში ბიზნესის სექტორის შეფასებებისა და კვლევების კუთხით.

სწავლის შედეგები და კომპეტენციები

ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტის ბიზნესის ადმინისტრირების სადოქტორო პროგრამა კურსდამთავრებულს უვითარებს იმ უნარებს, რომელიც შეესაბამება ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოში უმაღლესი განათლების მესამე საფეხურისთვის განსაზღვრულ კრიტერიუმებს.

ცოდნა და გაცნობიერება

- ✓ კურსდამთავრებულს აქვს უახლეს მიღწევებზე დამყარებული ფუნდამენტური ცოდნა, რომელიც ეფუძნება ბიზნესის მართვის სფეროში ინოვაციურ კვლევებსა და მიდგომებს;
- ✓ კურსდამთავრებული აცნობიერებს ბიზნესის ადმინისტრირების სფეროში საკვლევი საკითხის შესახებ ცოდნის განახლებულ ფარგლებს არსებული ცოდნის ხელახლა გააზრებისა და ნაწილობრივი გადაფასების გზით;
- ✓ კურსდამთავრებული ფლობს მეცნიერების უახლეს მიღწევებზე დამყარებულ კვლევისა და სწავლების თანამედროვე მეთოდებს, ხერხებს, კვლევის შედეგების ანალიზისა და შეფასების რაოდენობრივ და თვისობრივ მეთოდებს;
- ✓ კურსდამთავრებული ფლობს დასკვნითი სტატისტიკის მეთოდებს (t სტატისტიკა, ფაქტორული ანალიზი, იერარქიული წრფივი მოდელი, რეგრესიული ანალიზი)

ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი

- ✓ კურსდამთავრებულს შეუძლია ბიზნესის სფეროში საკვლევი საკითხის განსაზღვრა და მასთან დაკავშირებული უახლესი ცოდნის ანალიზი;
- ✓ კურსდამთავრებულს შეუძლია არსებული ცოდნის ხელახლა გააზრება და გაფართოება კვლევის, სტატისტიკური და სწავლების ინოვაციური მეთოდების გამოყენების გზით;
- ✓ კურსდამთავრებული იმუშავებს კვლევით და ანალიტიკურ მეთოდებსა და მიდგომებს, რომლებიც ორიენტირებულია სფეროში ახალი ცოდნის შექმნაზე;
- ✓ კურსდამთავრებული დამოუკიდებლად გეგმავს, ახორციელებს და ზედამხედველობას უწევს ინოვაციურ კვლევებს;
- ✓ კურსდამთავრებული აკადემიურ კონტექსტში ხელს უწყობს ბიზნესის სფეროს გავითარებას და შეუძლია სასწავლო კონტექსტის შესაბამისად სწავლების და შეფასების ეფექტური სტრატეგიების განსაზღვრა და გამოყენება;
- ✓ კურსდამთავრებულს შეუძლია პრაქტიკულ საქმიანობაში ახალი ცოდნის გამოყენება, კვლევის შედეგად, მტკიცებულებებზე დაფუძნებული

გადაწყვეტილების მიღება და ბიზნეს საქმიანობის ძირითადი მიმართულებების განსაზღვრა.

დასკვნის უნარი

- ✓ კურსდამთავრებული საკვლევი პრობლემიდან გამომდინარე, შეიმუშავებს შესაბამის მეთოდოლოგიას და ხელს უწყობს მის განვითარებას;
- ✓ კურსდამთავრებულს შეუძლია მის კვლევაში გამოყენებულ ცვლადებს შორის მიზეზ-შედეგობრივი კავშირის დადგენა;
- ✓ კურსდამთავრებულს შეუძლია შერჩეულ საკითხთან ან პრობლემასთან დაკავშირებული თანამედროვე მიდგომების და წინააღმდეგობრივი იდეების კრიტიკული ანალიზი, სინთეზი და შეფასება;
- ✓ კურსდამთავრებულს შეუძლია პრობლემასთან დაკავშირებული დასაბუთებული დასკვნების გაკეთება და მისი გადაჭრის მიზნით სწორი და ეფექტური გადაწყვეტილების დამოუკიდებლად მიღება.

კომუნიკაციის უნარი

- ✓ კურსდამთავრებული კვლევის შედეგებსა და მიგნებებს, რეკომენდაციების სახით წარუდგენს: ბიზნეს სექტორს (მათ შორის უცხოელ ინვესტორებს), ქვეყნის ეკონომიკური გუნდის წევრებსა და ეკონომიკური პოლიტიკის განმსაზღვრელებს;
- ✓ კურსდამთავრებულს შეუძლია არსებულ ცოდნასთან ურთიერთკავშირში საკითხის დასაბუთებულად და გარკვევით წარმოჩენა;
- ✓ კურსდამთავრებული ერთვება სამეცნიერო საზოგადოებასთან თემატურ დისკურსში საერთაშორისო რეფერირებად ჟურნალებში პუბლიკაციებითა და ზოგადი და სპეციალური ხასიათის ბიზნესის საკითხების განხილვაში მონაწილეობით ქართულ და უცხო ენებზე.

სწავლის უნარი

- ✓ კურსდამთავრებული ახალი იდეების და პროცესების ჩამოყალიბება - განვითარებისათვის დამოუკიდებლად ერთვება სწავლისა და კვლევით პროცესში;
- ✓ კურსდამთავრებული მუდმივად ანახლებს საკვლევი საკითხების ირგვლივ არსებულ ცოდნას (ამისათვის უნივერსიტეტი მას საშუალებას აძლევს უფასოდ გამოიყენოს მის საკუთრებაში არსებული საერთაშორისო რეფერირებადი

ჟურნალების ნუსხა, საერთაშორისო კავშირები და ბიბლიოთეკა პოსტსადოქტორო კვლევების განსახორციელებლად);

- ✓ კურსდამთავრებული მზადაა განავითაროს ინოვაციური იდეები ან/და პროცესები, მიმართოს საკუთარი დრო და რესურსები ახალი ცოდნის შექმნისაკენ.

ღირებულებები

- ✓ კურსდამთავრებული იცავს აკადემიური პატიოსნების პრინციპებს და სამეცნიერო ეთიკის ნორმებს;
- ✓ კურსდამთავრებული იკვლევს ღირებულებათა დამკვიდრების ახალ გზებს და იმუშავებს ინოვაციურ მეთოდებს მათ დასამკვიდრებლად.

სწავლების მეთოდები

სადოქტორო პროგრამის სტრუქტურის შედგენისას გათვალისწინებულია მსოფლიოს წამყვან უნივერსიტეტებში ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორის მომზადების სპეციფიკა. სწავლების პროცესში გამოყენებული იქნება წერითი და ვერბალური მეთოდი, დემონსტრირების მეთოდი, დისკუსია-დებატები, პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება, ინდივიდუალური და ჯგუფური მუშაობა, შემთხვევის ანალიზი, ურთიერთშეფასება, გონებრივი იერიში, პრაქტიკული მუშაობის მეთოდი კომპიუტერულ ლაბორატორიაში.

სადოქტორო პროგრამის სტრუქტურა

წარმოდგენილი სადოქტორო პროგრამით ბიზნესის ადმინისტრირების სპეციალობით დოქტორის მომზადების ნორმატიული ვადაა 3 წელი (6 სემესტრი), მაქსიმალური ხანგრძლივობა კი 5 წელი (10 სემესტრი). ამ პერიოდში დოქტორანტმა უნდა შეასრულოს პროგრამით გათვალისწინებული ყველა მოთხოვნა, წინააღმდეგ შემთხვევაში მას შეუწყდება სტუდენტის სტატუსი. დოქტორის აკადემიური ხარისხის მისაღებად დოქტორანტმა უნდა დააგროვოს 180 კრედიტი. აქედან სწავლა/სწავლების კომპონენტი შეადგენს 54 კრედიტს, კვლევითი კომპონენტი შეადგენს 126 კრედიტს.

სწავლის პერიოდში დოქტორანტმა უნდა გაიაროს 4 სავალდებულო და 2 არჩევითი სასწავლო კურსი სულ 36 კრედიტის მოცულობით. ასევე სავალდებულოა პროსპექტუსის მომზადება, კვლევითი სემინარების მომზადება და პროფესორის ასისტირება, რომლებითაც ის ჯამში აგროვებს 54 კრედიტს.

| კომპონენტები | სემესტრი | | | | | | | | | | ECTS | |
|--|----------|---|---|---|---|---|---|---|---|----|------|-----|
| | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 | | |
| კომპონენტები | | | | | | | | | | | | 180 |
| პროსპექტუსი 1 | ■ | | | | | | | | | | | 9 |
| პროსპექტუსი 2 | | ■ | | | | | | | | | | 9 |
| სწავლების თანამედროვე მეთოდები | ■ | | | | | | | | | | | 6 |
| აკადემიური წერა ინგლისურ ენაზე | ■ | | | | | | | | | | | 6 |
| სტატისტიკა | ■ | | | | | | | | | | | 6 |
| კვლევის მეთოდები (რაოდენობრივი და თვისობრივი) | ■ | | | | | | | | | | | 6 |
| სადისერტაციო პროექტის დიზაინი და მენეჯმენტი (არჩევითი) | | ■ | | | | | | | | | | 6 |
| მარკეტინგული კვლევის მეთოდები (არჩევითი) | | ■ | | | | | | | | | | 6 |
| ემპირიული მეთოდები (არჩევითი) | | ■ | | | | | | | | | | 6 |
| კვლევითი სემინარი 1 | | ■ | | | | | | | | | | 6 |
| კვლევითი სემინარი 2 | | | ■ | | | | | | | | | 6 |
| კვლევითი სემინარი 3 | | | | ■ | | | | | | | | 6 |
| პროფესორის ასისტირება | | ■ | ■ | ■ | ■ | ■ | ■ | ■ | ■ | ■ | | 18 |
| სადოქტორო ნაშრომი | | | | ■ | ■ | ■ | ■ | ■ | ■ | ■ | ■ | 90 |

სწავლას დოქტორანტი იწყებს სასწავლო კურსებით, რომლის ფარგლებში გათვალისწინებული კრედიტების მოცულობა დოქტორანტმა უნდა მოაგროვოს ორი სემესტრის განმავლობაში. მეორე სემესტრიდან დოქტორანტს შესაძლებლობა აქვს დაიწყო სწავლება/პროფესორის ასისტირება. ასისტირების პროცესს ხელმძღვანელი და დოქტორანტი გეგმავენ მეორე სემესტრიდან, ყოველი სემესტრის დასაწყისში. სწავლება/პროფესორის ასისტირების კომპონენტით გათვალისწინებული 18 კრედიტის მოპოვების პერიოდი დოქტორანტის მიერ არის მაქსიმუმ ორ სემესტრი, თუმცა, ეს არ ზღუდავს მას, რომ ხსენებული კრედიტები მოიპოვოს ნაკლებ დროში. პროსპექტუსზე მუშაობას დოქტორანტი იწყებს პირველი სემესტრიდან და მას ეთმობა ორი სემესტრი. კვლევით სემინარზე მუშაობა დოქტორანტმა უნდა დაიწყო მეორე სემესტრიდან და განახორციელოს მომდევნო სამი სემესტრი. სადოქტორო ნაშრომის მომზადება იწყება მეოთხე სემესტრიდან და მისი საბოლოო ნაშრომის წარდგენის, შეფასებისა და დაცვის ვადები დოქტორანტისთვის განისაზღვრება ინდივიდუალურად აკადემიური საბჭოს მიერ. სადოქტორო ნაშრომზე მუშაობის მაქსიმალური პერიოდია 7 სემესტრი, ხოლო მინიმალური - 3.

პუბლიკაცია

გარდა პროგრამით გათვალისწინებული კომპონენტებისა, დისერტაციის დაცვის წინაპირობას წარმოადგენს საერთაშორისო რეფერირებად გამოცემაში პუბლიკაციის გამოქვეყნება. პუბლიკაცია უნდა გამომდინარეობდეს ან უკავშირდებოდეს სადოქტორო თემას.

შეფასების წესი

პროგრამის ყოველი კომპონენტისთვის განსაზღვრულია შეფასების შესაბამისი წესი, რომელიც გაწერილია შესაბამის დოკუმენტებში:

- სასწავლო კურსების სილაბუსები;
- კვლევითი სემინარების სილაბუსები;
- ასისტირების კომპონენტი;
- დოქტორანტურის დებულება;
- პროსპექტუსზე მუშაობა და დაცვა.

დოკუმენტებში ასევე დეტალურადაა აღწერილი თითოეული კომპონენტის მიზანი, სტრუქტურა, შედეგები და პროცესი.

სამეცნიერო კვლევების ხელშემწყობი რესურსები

სადოქტორო პროგრამის სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტი განხორციელდება ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტის ხელთ არსებული რესურსების გამოყენებით. კერძოდ: საქართველოს ეროვნული და მეცნიერებათა აკადემიის ბიბლიოთეკების ბაზა, საუნივერსიტეტო ბიბლიოთეკა და მასში არსებული სამეცნიერო ელ-ბაზები, კვლევითი პროექტებისა და ინოვაციების სამსახური, კომპიუტერების რესურს ცენტრი, ქვეყანაში და მის ფარგლებს გარეთ არსებულ მსხვილ ორგანიზაციებთან დადებული ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმები და სხვა. პროგრამაში მონაწილე აკადემიურ პერსონალს აქვს წვდომა უახლეს ლიტერატურასთან. შესაბამისად, დოქტორანტი უზრუნველყოფილი იქნება სწავლებისა და კვლევებისათვის აუცილებელი რესურსით.

პროგრამაში ჩართული პროფესორები და ლექტორები

კვლევით მუშაობაში დოქტორანტი ითანამშრომლებს:

- ✓ აკადემიურ ხელმძღვანელთან, რომელიც დაეხმარება სადოქტორო საფეხურზე მყოფ პირს სასწავლო-კვლევითი პროცესის დაგეგმვა-განხორციელებაში, სადისერტაციო ნაშრომის სრულფასოვნად შექმნაში;
- ✓ მენტორთან, რომელიც წარმოადგენს შესაბამისი დარგის ექსპერტ/პრაქტიკოს სპეციალისტს, წამყვანი ადგილობრივი და საერთაშორისო ორგანიზაციების ზედა რგოლის მენეჯერს, რომელთანაც უნივერსიტეტი თანამშრომლობს/ითანამშრომლებს მემორანდუმის ფარგლებში და რომელიც დაეხმარება დოქტორანტს საკვლევო თემატიკის გარშემო უახლესი და აქტუალური საკითხების იდენტიფიცირებაში, სფეროს ექსპერტებთან შეხვედრებში კვლევის თემატიკიდან გამომდინარე;

- ✓ უცხოური უმაღლესი სასწავლო დაწესებულების პროფესორ-მკვლევარებთან, რომელიც გაუზიარებს დოქტორანტს საკვლევი თემატიკის გარშემო არსებულ ცოდნასა და გამოცდილებას, საერთაშორისო პრაქტიკას.

დოქტორანტების მისაღები რაოდენობა

პროგრამის მიზნებისა და შედეგების მისაღწევად მიზანშეწონილია 3 დოქტორანტის მიღება.

პროგრამის ფინანსური უზრუნველყოფა

სადოქტორო პროგრამაზე სწავლა მიმდინარეობს ერთიანი საუნივერსიტეტო წესდების შესაბამისად.

უნივერსიტეტის სტრატეგიიდან და სამომავლო გეგმებიდან გამომდინარე, დაწესებულება ორიენტირებულია კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობაზე, რაც ასახულია მის საბიუჯეტო გეგმაში. უნივერსიტეტი აცნობიერებს რა, კვლევის როლს ქვეყნის გარდამავალ ეკონომიკაში, უზრუნველყოფს წარმატებულ დოქტორანტებს კვლევითი სტიპენდიით. ასევე, უნივერსიტეტი მონაწილეობას მიიღებს პოსტსადოქტორო კვლევების დაფინანსებაში, რომლითაც დაინტერესდება ქვეყნის ეკონომიკური გუნდი, ბიზნეს სექტორი, საერთაშორისო ორგანიზაციები.

პროგრამის ხელმძღვანელი

ნინო ენუქიძე, ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორი, ასოცირებული პროფესორი
+995599701080 nino.enukidze@btu.edu.ge

პროგრამის კომპეტენციათა რუკა

| სადოქტორო პროგრამის კომპონენტების დასახელება | ცოდნა და გაცნობიერება | ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი | დასკვნის უნარი | კომუნიკაციის უნარი | სწავლის უნარი | ღირებულებები |
|--|-----------------------|-------------------------------------|----------------|--------------------|---------------|--------------|
| პროსპექტუსი 1 | | x | x | | x | x |
| პროსპექტუსი 2 | x | x | | x | x | |
| სწავლების თანამედროვე მეთოდები | x | x | x | x | x | x |
| აკადემიური წერა | x | x | x | x | x | x |

| | | | | | | |
|--|---|---|---|---|---|---|
| სტატისტიკა | x | x | x | x | x | |
| კვლევის მეთოდები (რაოდენობრივი და თვისობრივი) | x | x | x | x | x | x |
| სადისერტაციო პროექტის დიზაინი და მენეჯმენტი (არჩევითი) | x | x | | x | x | x |
| მარკეტინგული კვლევის მეთოდები (არჩევითი) | x | x | x | x | | x |
| ემპირიული მეთოდები (არჩევითი) | x | x | x | x | | |
| კვლევითი სემინარი 1 | x | x | | | | |
| კვლევითი სემინარი 2 | | x | | | | x |
| კვლევითი სემინარი 3 | | | x | | x | |
| პროფესორის ასისტირება | | x | | | x | |
| სადოქტორო ნაშრომი | x | x | x | x | x | x |